

საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

ბადრი დავითაია

ედ,ანსუ-ს ასისტენტ პროფესორი

საბრუნავი კაპიტალი ეს არის საწარმოს მიერ ინვესტირებული კაპიტალი მიმდინარე ოპერაციებზე ყოველი საოპერაციო ციკლის განმავლობაში. სხვა სიტყვებით, ეს არის საშუალებები, რომლებიც ჩადებულია მიმდინარე აქტივებში. საბრუნავი კაპიტალი უშუალოდ მონაწილეობს ახალი ღირებულების შექმნაში და ფუნქციონირებს მთელი კაპიტალის წრებრუნვის პროცესში. საბრუნავი კაპიტალი უფრო სწრაფად მიმოიქცევა, ვიდრე ძირითადი კაპიტალი. ამიტომ საბრუნავი კაპიტალის წილის გადიდებით ავანსირებული კაპიტალის მთლიან მოცულობაში ხდება მთლიანი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარის შემცირება, მაშასადამე, იზრდება ახალი ღირებულების ზრდის შესაძლებლობა და შესაბამისად მოგებაც.

არსებობს ცნება წმინდა საბრუნავი კაპიტალი. მისი სიდიდე განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის. სამეურნეო სუბიექტთა ნორმალური ფუნქციონირების პირობებში მიმდინარე აქტივების სიდიდე ალემატება მიმდინარე ვალდებულებებს, ესე იგი საბრუნავ საშუალებათა ღირებულება ალემატება კრედიტორულ დავალიანებას. წმინდა საბრუნავი კაპიტალი ტრადიციული ტერმინოლოგიით წარმოადგენს საკუთარ საბრუნავ საშუალებებს.

საბრუნავი კაპიტალი ხასიათდება არა მხოლოდ სტრუქტურითა და მოცულობით, არამედ მიმდინარე აქტივების ლიკვიდურობით. ლიკვიდურობის ხარისხი განისაზღვრება მიმდინარე აქტივების უნარით გარდაიქმნას ფულად საშუალებებად წრებრუნვის პროცესში. ამასთან გაითვალისწინება, რომ საწარმოო მარაგი ნაკლებად ლიკვიდურია, ვიდრე მზა პროდუქცია, ხოლო აბსოლიტურად ლიკვიდურია ფულადი საშუალებები.

ფინანსური მენეჯმენტის თვალსაზრისით საბრუნავი კაპიტალი შედგება მუდმივი და ცვალებადი კაპიტალისაგან. მიმდინარე აქტი-

ვების ის ნაწილი, რომელიც მუდმივად არის საწარმოს განკარგულებაში აუცილებელი მინიმუმის მოცულობით, უზრუნველყოფს სამეურნეო საქმიანობას და შეადგენს მუდმივი კაპიტალის საფუძველს.

საშუალებებში დამატებითი მოთხოვნის აღმოცენების შემთხვევა, რომლებიც განპირობებულია წარმოებისა და რეალიზაციის სეზონურობის ან სხვა გარემოებებით, ქმნის ცვლად საბრუნავ კაპიტალს.

საბრუნავი კაპიტალის მართვის ეფექტურობა განისაზღვრება რიგი ფაქტორებით: მიმდინარე აქტივების მოცულობითა და შემადგენლობით, მათი ლიკვიდურობით, მიმდინარე აქტივების დაფარვის საკუთარი და ნასესხები წყაროების თანაფარდობით, წმინდა საბრუნავი კაპიტალის სიდიდით, მუდმივი და ცვლადი კაპიტალის თანაფარდობით და სხვა ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებით. გარდა ამისა, საბრუნავი კაპიტალის მართვის თავისებურებები განისაზღვრება სამეურნეო სუბიექტთა სტრუქტურული კუთვნილებით, თუკი სავაჭრო ორგანიზაციებში მაღალია საქონლის ხვედრითი წილი, სამრეწველო საწარმოებში-ნედლეული და მასალები, ფინანსურ კორპორაციებში კი ჭარბობს ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები.

ამრიგად, საბრუნავი კაპიტალის გამოყენების გაუმჯობესება მენარმეობის განვითარებასთან ერთად ძალზე აქტუალურ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან ამ დროს გამოთავისუფლებული მატერიალური და ფულადი რესურსები წარმოადგენენ შემდგომი ინვესტიციების დამატებით იმანენტურ წყაროებს. საბრუნავი საშუალებების რაციონალური და ეფექტური გამოყენება ხელს უწყობს ეკონომიკურ სუბიექტთა ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის დონის ამაღლებას. ასეთ პირობებში საწარმო დროულად და მთლიანად ასრულებს საანგარიშსწორებო—საგადასახადო ვალდებულებებს, რაც წარმატებული კომერციული საქმიანობის საფუძველია.

საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტურობა ხასიათდება ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემით, რომელთაგან ერთ—ერთია მათი განთავსების თანაფარდობა წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ხარისხზე შეიძლება ვიმსჯელოთ საბრუნავი საშუალებების უკუგების მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება, როგორც შეფარდება რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებსა და საბრუნავი საშუალებების ნაშთს შორის.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ინტენსივობის უმთავრეს მაჩვენებლად გვევლინება მათი ბრუნვადობის სიჩქარე.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობა ეს არის საშუალებათა ერთი სრული წრებრუნვის ხანგრძლივობა, დაწყებული პირველი და დამთავრებული მესამე ფაზით. რაც უფრო სწრაფად გადიან საშუალებები ამ ფაზებს, მით უფრო მეტ პროდუქციას აწარმოებს საწარმო საბრუნავი საშუალებების ერთი და იგივე თანხიდან.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის სიჩქარე გამოითვლება სამი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლებით: ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში; ბრუნვათა რაოდენობა ერთი წლის მანძილზე; საბრუნავი საშუალებათა სიდიდე რეალიზებული პროდუქციის ერთ ერთეულზე.

საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის გამოთვლა ხორციელდება, როგორც გეგმური, ასევე ფაქტობრივი კუთხით. გეგმური ბრუნვადობა შეიძლება გაანგარიშებულ იქნას მხოლოდ ნორმირებული საბრუნავი საშუალებებით, ფაქტობრივი — ყველა საბრუნავი საშუალებების მიხედვით არანორმირებულის ჩათვლით. გეგმურისა და ფაქტობრივის ბრუნვადობის შედარება ასახავს ნორმირებული საბრუნავ საშუალებათა დაჩქარებას ან შენელებას. ბრუნვადობის დაჩქარების დროს ხდება საბრუნავ საშუალებათა გამოთავისუფლება ბრუნვიდან, ხოლო შენელების დროს აუცილებელია ბრუნვაში დამატებითი საშუალებათა ჩართვა.

დღეებში ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$O = (C \times N) \div T$$

სადაც

O — ერთი ბრუნვის ხანგრძლივობაა დღეებში

C — საბრუნავ საშუალებათა ნაშთი (ლარებში)

T — სასაქონლო პროდუქციის მოცულობა

N — დღეთა რიცხვი საანგარიშო პერიოდში

მაგალითი: გასულ წელს ღირებულების მიხედვით სასაქონლო პროდუქციის მოცულობა იყო 150 000ლარი, მაშინ როცა საბრუნავი საშუალებები ამ წლის ბოლოს შეადგენდა 18 000 ლარს. ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა უდრის 43 დღეს ($18000 \times 360 \div 150000$)

ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს ბრუნვათა რაოდენობას, რომელიც ხორციელდება საბრუნავი საშუალებებით ერთი წლის მანძილზე და განისაზღვრება ფორმულით $K = T \div C$, სადაც K — ბრუნვადობის კოეფიციენტი, ე. ი. ბრუნვათა რაოდენობა.

განხილულ მაგალითში ბრუნვადობის კოეფიციენტი შეადგენს 8,3 ($150000 \div 18000$). მაშასადამე, საბრუნავმა საშუალებებმა განახორციელეს 8,3 ბრუნვა ერთი წლის მანძილზე. ეს ინდიკატორი ნიშნავს იმას, რომ საბრუნავი საშუალებების ყოველ ერთ ლარზე მოდის რეალიზებული პროდუქციის 8,3 ლარი. საბრუნავ საშუალებათა დატვირთვის კოეფიციენტი არის ბრუნვადობის კოეფიციენტის უკუმაჩვენებელი. ის წარმოადგენს საბრუნავ საშუალებათა სიდიდეს, რომელიც მოდის რეალიზებული პროდუქციის ერთეულზე. იანგარიშება ფორმულით: $K_{\text{დ}} = C \div T$, სადაც $K_{\text{დ}}$ — საბრუნავ საშუალებათა დატვირთვის კოეფიციენტი.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მაგალითის მიხედვით დატვირთვის კოეფიციენტი შეადგენს 0,12 ($18000 \div 150000$). მაშასადამე, რეალიზებული პროდუქციის ყოველ ერთ ლარზე მოდის 0,12 ლარის საბრუნავი საშუალებები.

ამასთან ბრუნვადობა შეიძლება იყოს როგორც საერთო, ასევე პრივატულიც.

საერთო ბრუნვადობა ახასიათებს საბრუნავ საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობას მთლიანობაში წრებრუნვის ყველა ფაზის მიხედვით და არ ასახავს საბრუნავ საშუალებათა ცალკეულ ჯგუფების წრებრუნვის თავისებურებებს.

ზემოთ განხილული ბრუნვადობის ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლები ასახავენ საბრუნავ საშუალებათა საერთო ბრუნვადობას. რაც შეეხება საერთო ბრუნვადობის ცვლილებების გამოვლენის კონკრეტულ მიზეზებს, ის გამოითვლება საბრუნავ საშუალებათა პრივატული ბრუნვადობის მაჩვენებლით.

პრივატული ბრუნვადობა ასახავს წრებრუნვის ყოველ ფაზაში საბრუნავ საშუალებათა გამოყენების ხარისხს, როგორც მთლიანად ჯგუფში, ასევე ცალკეული ელემენტების მიხედვითაც.

ასეთ დეტალური ანალიზი საბრუნავ საშუალებათა გამოყენებისა იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას საბაზრო ურთიერთობების განვითარებისა და თავისუფალ მენარმოებასთან ერთად.

საბრუნავ საშუალებათა განთავსებაში სტრუქტურული ცვლილებათა გავლენის განსაზღვრისათვის საბრუნავ საშუალებათა ნაშთი უნდა შეუდარდეს სასაქონლო პროდუქციის მოცულობას, რომელიც გამოყენებულ იქნა საბრუნავ საშუალებათა საერთო ბრუნვადობის გამოთვლის დროს. ამასთან პრივატული ბრუნვადობის მაჩვენებელთა ჯამი ტოლი უნდა იყოს საერთო ბრუნვადობის მაჩვენებლისა. ბრუნვადობის დაჩქარების შედეგად საბრუნავ საშუალებათა გარკვეული თანხა გამოთავისუფლდება. გამოთავისუფლება შეიძლება იყოს აბსოლიტური და ფარდობითი.

აბსოლიტურ გამოთავისუფლებას საბრუნავ საშუალებებისა მაშინ აქვს ადგილი, როცა საბრუნავ საშუალებათა ფაქტობრივი ნაშთი ნაკლებია ნორმატივებზე, ან საბაზისო პერიოდში საბრუნავ საშუალებათა ნაშთზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში აბსოლიტურად გამოთავისუფლებული საბრუნავი საშუალებები შეიძლება მიმართულ იქნას სანარმოთა მიერ წარმოების შემდგომი გაფართოებისაკენ.

საბრუნავ საშუალებათა ფარდობითი გამოთავისუფლება ხდება იმ შემთხვევაში, როცა საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარება ერთდროულად ხორციელდება წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად. საბრუნავ საშუალებათა აბსოლიტურ და ფარდობით გამოთავისუფლებას აქვთ ერთიანი ეკონომიკური საფუძველი, ვინაიდან სამეურნეო სუბიექტებისათვის წარმოადგენენ საშუალებათა დამატებით ეკონომიას.

მაგალითი: სასაქონლო პროდუქციის ფარდობითი მოცულობა თვითღირებულების მიხედვით მიმდინარე წელს 100 800 ათასი ლარი. ყველა საბრუნავი საშუალებათა ღირებულება მიმდინარე წლის ბოლოს შეადგენს 11200 ათას ლარს. სასაქონლო პროდუქციის მოცულობა საგეგმო წელს შეადგენს 144 000 ათას ლარს სამ დღეზე

ბრუნვადობის დაგეგმილი დაჩქარების დროს.

ასეთ პირობებში მიმდინარე წელს ბრუნვადობა შეადგენს 40 დღეს ($11200 \div 100800 \div 360$) საბრუნავ საშუალებათა თანხობრივი მაჩვენებელი შეადგენს 16000 ათას ლარს ($144000 \times 40 \div 360$), ბოლო საბრუნავ საშუალებათა ღირებულება მათი ბრუნვადობის დაჩქარების გათვალისწინებით შეადგენს 14800 ათას ლარს ($144000 \times (40 - 3) \div 360$).

საბრუნავ საშუალებათა ფარდობითი გამოთავისუფლება ბრუნვადობის დაჩქარების შედეგად მიმდინარე წელს შეადგენს 12000 ათას ლარს ($16000 - 14800$). ამრიგად, საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარება და ამის საფუძველზე გამოთავისუფლება საწარმოებს აძლევს შესაძლებლობას მიმართონ ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ მენარმეობის განვითარებაზე ისე, რომ არ გახდეს საჭირო დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Алексеева М. М., Планирование деятельности фирмы, М. Финансы и статистика, 2002г
2. Шеремет А., Сайфулин Р. Нагашев Е. Методика финансового анализа предприятий М. Юни-Глоб 2002г
3. Финансовый менеджмент, Учебник / Под. Ред. Проф. А. М. Ковалевой М. Инфра, 2005г
4. Ковалев В. В. Финансовый анализ: управление капиталом М., Финансы и статистика 2001г
5. Справочник финансиста предприятия. Коллектив авторов, М., Инфра 2002г